განმარტებითი ბარათი
რეზოლუციის პროექტზე

რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო რეჟიმის მიერ ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევისა და მათზე ეფექტური რეაგირების შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია რეზოლუციის შესახებ:

ა.ა) რეზოლუციის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს რეზოლუცია:

რეზოლუციის მიღება მიზნად ისახავს, რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის და დანაშაულებრივი ფაქტების შეფასებას და მათზე რეაგირებას. რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ძალების მხრიდან გრძელდება საქართველოს მოქალაქეების თავისუფალი გადაადგილების უფლების უკანონო შეზღუდვა, საქართველოს მოქალაქეთა რეგულარული გატაცება და მათი უკანონო დაკავება, მათ შორის საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებიდან.

რეზოლუციის მიღების მიზანია საქართველოს პარლამენტის რეაგირება რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ, 2023 წლის 6 ნოემბერს, საოკუპაციო ხაზთან მიმდებარე გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კირბალში, საქართველოს მოქალაქე თამაზ გინტურის სიცოცხლის ხელყოფისა და ლევან დოთიაშვილის გატაცების ფაქტებზე.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საკანონმდებლო ორგანო, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.

მნიშვნელოვანია აგრეთვე, ყველა საჭირო სამართლებრივი მექანიზმის ამოქმედება, რომელიც ხელს შეუწყობს აღნიშნული ფაქტების მყისიერ, სრულფასოვან და ეფექტურ გამოძიებასა და დამნაშავეების მიმართ შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებას ყველა შესაძლო ინსტანციაში.

აღნიშნული რეზოლუცია ასევე მიზნად ისახავს „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის“ შესახებ საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 21 მარტის N2070-II რეზოლუციაზე დაყრდნობით მიღებულ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის დადგენილებით განსაზღვრულ „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიას“ დაემატოს რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლები, ვინც პასუხისმგებელი არიან საქართველოს მოქალაქეების თამაზ გინტურის მკვლელობაზე და ლევან დოთიაშვილის უკანონო გატაცებაზე.

რეზოლუციის მიღება ხაზს უსვამს რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში, ისევე როგორც საოკუპაციო ხაზთან ახლოს რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო რეჟიმის სამართლებრივი და პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაკისრების მნიშვნელობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად რეზოლუციის მიღების აუცილებლობა:

რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო რეჟიმის მიერ განგრძობითი ხასიათი აქვს საქართველოს მოქალაქეების გატაცებას, წამებასა და სიცოცხლის მოსპობას, ადამიანის უფლებათა სისტემურ დარღვევას, ძალადობის აქტებს, საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ სხვა დანაშაულებს.

მიუხედავად ამ დრომდე მიღებული პარლამენტის რეზოლუციებით განსაზღვრული პოლიტიკისა, მთავრობას დღემდე არ განუახლებია დეოკუპაციის საერთო ეროვნული ხედვა და რუსეთის ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგია.

2018 წლის 26 ივნისის N2070-II მთავრობის დადგენილებით, „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის“ ამოქმედება და ეფექტიანი აღსრულება არ ხდება. ასევე, ამ დრომდე, არ არის განსაზღვრული შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანო, რომელიც უშუალოდ განახორციელებს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ ზომებს საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე და შესაბამის ანგარიშს წარმოუდგენს საქართველოს პარლამენტს.

შესაბამისად, რეზოლუციის მიღება აუცილებელია რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ძალების მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სისტემურად განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებების სრულფასოვანი გამოძიებისა და შესაბამისი სამართლებრივ/პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის.

ა.ბ) რეზოლუციის მოსალოდნელი შედეგი:

რეზოლუციის პროექტის მიღების შედეგად, საქართველოს პარლამენტი კვლავ დაადასტურებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტის მნიშვნელობას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, დაგმობს რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების განგრძობით ოკუპაციას, მზარდ მილიტარიზაციას და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ფაქტობრივი ანექსიისკენ გადადგმულ ნაბიჯებს. მზარდი მილიტარიზაციის კონტექსტში, განსაკუთრებით საგანგაშოა რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში, ოჩამჩირეში, უკანონო საზღვაო სამხედრო ბაზის განთავსების განცხადებული მიზანი.

რეზოლუციის მიღების შედეგად, საქართველოს პარლამენტი მოახდენს სამართლებრივ და პოლიტიკურ შეფასებას და მოუწოდებს აღმასრულებელ ხელისუფლებას და კონკრეტულ პასუხისმგებელ უწყებებს, მოახდინონ ეფეექტური რეაგირება რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ, 2023 წლის 6 ნოემბერს, საოკუპაციო ხაზთან მიმდებარე გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კირბალში, საქართველოს მოქალაქე თამაზ გინტურის სიცოცხლის ხელყოფისა და ლევან დოთიაშვილის გატაცების ფაქტებზე, რომელზეც სრული პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთის ფედერაციას. რეზოლუციით დადგენილი მოთხოვნების შესრულება უზრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან ყოვლისმომცველი სამართლებრივი და პოლიტიკური ბერკეტების გამოყენებას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე საოკუპაციო ძალების დანაშაულებრივ ქმედებებზე რეაგირებისთვის.

რეზოლუციის პროექტით კვლავ აღიარებულია დეოკუპაციის და ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით უზრუნველყოფის ვალდებულება. ასევე, რეზოლუციაში გაცხადებული სამართლებრივი მექანიზმების გამოყენება გაამყარებს საქართველოს მშვიდობიანი პოლიტიკის არჩევანს, რაც მნიშვნელოვანია რუსეთის ფედერაციის დეზინფორმაციული კამპანიის გასანეიტრალებლად, მათ შორის, რუსეთის მიერ წარმოებულ პროპაგანდის ეგრედ წოდებული „მეორე ფრონტის“ შესახებ.

მთავრობის მიერ ამ რეზოლუციით დაკისრებული ვალდებულებების აღსრულების შედეგად პასუხისმგებლობა დაეკისრება თამაზ გინტურის მკვლელებს და მათთან დაკავშირებულ პირებს. რეზოლუცია განსაზღვრავს ამ პირებზე იგივე სამართლებრივი მექანიზმების გავცელებას, მათ შორის საერთაშორისო სანქციების ამოქმედების აუცილებლობას, რაც სამართლებრივად გათვალისწინებულია "ტატუნაშვილი-ოთხოზორიის სიაში" მყოფი სხვა დამნაშავე პირების შემთხვევაში.

ა.გ) რეზოლუციის ძირითადი არსი:

რეზოლუციის ძირითად არსს წარმოადგენს საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მხრიდან, რუსეთის ფედერაციის დანაშაულებრივი ქმედებების შეფასება და ეფექტური სამართლებრივი რეაგირების მექანიზმების განსაზღვრა, რაც უკავშირდება სოფელ კირბალში საქართველოს მოქალაქის, თამაზ გინტურის მკვლელობას და ლევან დოთაშვილის გატაცების ფაქტებს.

საქართველოს პარლამენტი გმობს:

რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციას და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ფაქტობრივი ანექსიისკენ გადადგმულ ნაბიჯებს საქართველოს მოქალაქეების თავისუფალი გადაადგილების უფლების

უკანონო შეზღუდვას, საქართველოს მოქალაქეთა რეგულარულ გატაცებას, მათ შორის საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებიდან და მათ უკანონო დაკავებას;

რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ, 2023 წლის 6 ნოემბერს, ოკუპაციის ხაზთან მდებარე გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კირბალში, საქართველოს მოქალაქე თამაზ გინტურის სიცოცხლის ხელყოფისა და ლევან დოთიაშვილის გატაცების ფაქტებს, რაზეც სრული პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთის ფედერაციას;

რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებული რეგიონების განგრძობით მილიტარიზაციას, რომლის ახალი გამოხატულებაა ოკუპირებული აფხაზეთის ოჩამჩირის პორტში რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის მუდმივი განთავსების გადაწყვეტილება, ისევე როგორც, ოკუპირებული აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის რუსეთ-ბელარუსიის საკავშირო სახელმწიფოში ინტეგრაციის მცდელობა;

საქართველოს პარლამენტი მოუწოდებს მთავრობას:

გადადგას ქმედითი ნაბიჯები ყველა იმ საქართველოს მოქალაქის გასათავისუფლებლად, რომლებიც დღემდე რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო რეჟიმის უკანონო პატიმრობაში იმყოფებიან.

დაუყოვნებლივ გამოიძიოს რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლების მიერ ჩადენილი საქართველოს მოქალაქეთა გატაცების, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების, წამების და სიცოცხლის მოსპობის დანაშაულებრივი ფაქტები.

უმოკლეს ვადაში მთავრობის დადგენილებით, დაამატოს "რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების უხეში დარღვევისა და 'ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის' შესახებ" საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 21 მარტის N2070-II რეზოლუციაზე დაყრდნობით მიღებულ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის დადგენილებით განსაზღვრულ „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიას" რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლები, ვინც პასუხისმგებელი არიან საქართველოს მოქალაქეების თამაზ გინტურის მკვლელობაზე და ლევან დოთიაშვილის უკანონო გატაცებაზე.

განსაზღვროს „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის" შესახებ მთავრობის დადგენილების აღსრულებაზე პასუხისმგებელი კონკრეტული უწყება და საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს ანგარიში გატარებული ღონისძიებებისა და კონკრეტული შედეგების შესახებ 2024 წლის 1 მაისამდე.

უმოკლეს ვადაში შეიმუშაოს დეოკუპაციის საერთო ეროვნული ხედვა და ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია, საქართველოს საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით ეფექტიანი მშვიდობის პოლიტიკის წარმოების და რუსეთის ფედერაციის მხრიდან მომდინარე მზარდი საფრთხეების გათვალისწინებით.

გააძლიეროს ძალისხმევა საერთაშორისო ასპარეზზე ყველა პოლიტიკური და დიპლომატიური ზომების გამოყენებით, რათა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი მუდმივად იყოს აქტუალური საერთაშორისო დღის

წესრიგში და მოახდინოს საერთაშორისო ძალისხმევის კონსოლიდაცია საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციისთვის; მათ შორის, მოახდინოს საერთაშორისო თანამეგობრობის მობილიზაცია ოკუპირებულ აფხაზეთში, ოჩამჩირეში რუსეთის ფედერაციის მხრიდან უკანონო სამხედრო საზღვაო ფლოტის მუდმივი განთავსების შესაჩერებლად, შავი ზღვის ფართო რეგიონისა და ევრო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების კონტექსტში.

ა.დ) რეზოლუციის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში

აღნიშნული პუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილი რეზოლუციასთან მიმართებით.

ა.ე) რეზოლუციის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო რეზოლუციისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება;

რეზოლუცია ძალაში შევიდეს მისი გამოქვეყნებისთანავე, ვინაიდან ინიციატივის მიზანი და შინაარსი მოითხოვს მის დროულ ამოქმედებას, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე. რეზოლუცია არ ითვალისწინებს უკუძალის მინიჭების საკითხს.

ა.ვ) რეზოლუციის დაჩქარებული წესით განიხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება

ასეთი არ არსებობს.

ბ) რეზოლუციის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (პროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი) :

ბ.ა) რეზოლუციის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

რეზოლუციის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯები დაფინანსდება გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში, შესაბამისი უწყებებიდან, კერძოდ: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს საგარეო სამინისტრო და საქართველოს გენერალური პროკურატურა.

ბ.ბ) რეზოლუციის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

რეზოლუცია გავლენას არ იქონიებს სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) რეზოლუციის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

რეზოლუციის მიღება გავლენას არ იქონიებს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. რეზოლუციის პროექტით განსაზღვრულ სახელმწიფო სტრუქტურებს, რომლებსაც რეზოლუციით განსაზღვრულ ფარგლებში შესაძლოა მოუწიოთ გარკვეული ქმედებების განხორციელება.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, პროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:
რეზოლუციის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) რეზოლუციის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია პროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:
რეზოლუციის მიღება არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს ამ პუნქტით განსაზღვრული პირებისთვის.

ბ.ვ) რეზოლუციის გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:
რეზოლუცია არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) შემოღებას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე პროექტის ზეგავლენის შეფასება;
რეზოლუცია არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება;
რეზოლუცია გავლენას არ მოახდენს გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ)რეზოლუციის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) რეზოლუციის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:
რეზოლუცია არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) რეზოლუციის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
რეზოლუცია არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) რეზოლუციის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება პროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი.
რეზოლუცია არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. რეზოლუციის მომზადება არ არის დაკავშირებული ასეთ ხელშეკრულებასთან/შეთანხმებასთან.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:
ასეთი არ არსებობს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო რეზოლუციის შემუშავებაში.
რეზოლუციის შემუშავებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს, ექსპერტებსა და სამუშაო ჯგუფებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) რეზოლუციის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება რეზოლუციის მიმართ.
ასეთი არ არსებობს

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება რეზოლუციის მსგავსი რეზოლუციების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული რეზოლუციის მომზადებისას.

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) **რეზოლუციის პროექტის ავტორი**

თინათინ ბოკუჩავა, თეონა აქუბარდია, ლევან ბეჟაშვილი, ნიკა მაჭუტაძე, გიორგი ვაშაძე, დავით უსუფაშვილი, სალომე სამადაშვილი, ანა ბუჩუკური, თამარ კორძაია, ხათუნა სამნიძე, ტარიელ ნაკაიძე, ნატო ჩხეიძე, როსტომ ჩხეიძე, ხატია დეკანოიძე, რომან გოცირიძე, თამარ ჩარკვიანი, ქეთევან თურაზაშვილი, ალეკო ელისაშვილი, პაატა მანჯგალაძე, შალვა შავგულიძე, გრიგოლ ვაშაძე.

ვ) **რეზოლუციის პროექტის ინიციატორი**

თინათინ ბოკუჩავა, თეონა აქუბარდია, ლევან ბეჟაშვილი, ნიკა მაჭუტაძე, გიორგი ვაშაძე, დავით უსუფაშვილი, სალომე სამადაშვილი, ანა ბუჩუკური, თამარ კორძაია, ხათუნა სამნიძე, ტარიელ ნაკაიძე, ნატო ჩხეიძე, როსტომ ჩხეიძე, ხატია დეკანოიძე, რომან გოცირიძე, თამარ ჩარკვიანი, ქეთევან თურაზაშვილი, ალეკო ელისაშვილი, პაატა მანჯგალაძე, შალვა შავგულიძე, გრიგოლ ვაშაძე.